გილოცავთ დამდეგ ახალ წელს!

გარეჯის მაცნე

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №24(38) 2012 წ. 16-31 დეკემბერი ფასი 50 თეთრი

ილია ჭავჭავაძე

მხნე იყავ და განძლიერდი

„ღმერთმა ტკბილად დაგაბეროსო“, – ერთმანეთისათვის ვნატრულობთ ხოლმე, როცა კი ახალი წელიწადი კარს დაგვიკაკუნებს. რა დიდად სანატრელი რამ არის ეს დაბერება. დაბერებიდან ერთი ფეხის გადადგმაღაა სიკვდილამდე. და რაკი ამაზე მიდგება საქმე, მაშინ ყოველისფერი მწარეა. ან თვითონ სიბერე თავისთავად მწარეზე უმწარესი არ არის განა? თუ ესეა, აბა ეხლა თარგმნეთ, რას ნიშნავს ტკბილად დაბერება. აშკარაა, ტკბილად დამწარებას და ნუთუ ამაზე უკეთესი სანატრელი აღარა გაგვაჩნია რა. ამაზე უკეთესი სანატრელი ვეღარა გვიპოვია – რა. ნატვრის უნარიც კი დაგვკარგვია, მოდი და წყალი ნუ წაგიღებს ამისთანას. სხვა რა გზაა?

სხვა გზა ის არის, რომ ერთმანეთით გული გავუგულადოთ და ამისთვის ღონე ღონეს გადავაბათ, მხარი მხარს მივცეთ, ერთმანეთის სიყვარული ვამოციქულოთ და ამ წინდებულს ახალს წელიწადს იმას ვაქმნევინებთ, რაც ჩვენ გვინდა და არა იმას, რაც მასა ჰსურს. ვიმხნეოთ ერთადერთის გულით, ერთის სულით, ერთმანეთის ნდობით. ვინც მხნეა, ის ძლიერია. მაშ, „მხნე იყავ და განძლიერდი“ – აი, ჩვენი საახალწლო მილოცვა, ჩვენი საახალწლო ნატვრა.

ახალი სიბრძნე და ენერგია მოუტანოს უფალმა საქართველოს!

მევუსურვებ ყველა მორწმუნესა და არამორწმუნეს, რომ შრომა და ურთიერთსიყვარული ყოფილიყოს უპირველესი წყარო ბედნიერებისა.

ნუ დაივიწყებთ, ჩემო საყვარელო ქრისტესმიერო შვილებო, რომ სიამაყეს, სხვის დაჩაგვრასა და სიმდიდრის მოხვეჭას განდიდება არ მოაქვს ადამიანისათვის, „რამეთუ ეგევითარნი უფალსა ჩვენსა იესუ ქრისტესა არა ჰმონებენ, არამედ თვისსა მუცელსა და ტკბილად მეტყუელებითა მით და კურთხევითა აცთუნიან გულნი უმანკოთანი“ (რომ. 16, 18). თქვენ თავმდაბლობა განგადიდებთ, სიყვარულისა და ურთიერთპატივის უმანკო გრძნობა აამაღლებს თქვენს სულებსა და პატიოსნებას. ესეც გახსოვდეთ, რომ პირველი მაგალითი თავმდაბლობისა და სიყვარულის ადამიანებს მაცხოვარმა ჩვენმა უჩვენა, როდესაც თავისი ჯვარცმის წინა დღეს მასთან მყოფ მოწაფეებს ფეხები დაბანა.

ღმერთსა ვთხოვ უცხოობაში მყოფ ჩვენს თანამემამულეთა სიცოცხლესა და ბედნიერებას. ვუსურვებ მათ, რომ მისცემოდეთ სურვილი და ღვთიური მადლი სამშობლოში დაბრუნებისა, ვინაიდან „სამშობლო, დედის ძუძუ, არ გაიცვლების სხვაზედა“.

მაშ, ამაღლდით რწმენით, სიკეთით და პატიოსნებით, ჩვენი ერის ტკბილო შვილებო! შევთხოვოთ უფალს, რომ მოიტანოს ახალმა წელმა ჩვენი ხალხისა და სამშობლოსათვის ახალი სიბრძნე და ენერგია, ახალი წინსვლა, ახალი დიდი ნაბიჯები, უკეთესი მომავლისაკენ, ახალი წყაროები და ნაკადულები აღმავლობისა, ახალი სკოლები და განათლების კერები, ახალი სითბო, ახალი სიტკბო, ახალი სუნთქვა სასოებით და აღტაცებით.

ღმერთი ხომ იცვლის ყველაფერს გარეშემოს როგორც სამოსს და თავად წლები კი არა აკლდება. ასევე, თქვენც ახალ წელში ყველაფერი ძველი და უვარგისი თქვენი შრომის შედეგად ახლით და უკეთესით შეგეცვალოთ, ჩემო საყვარელო სამწყსო, გაზრდილიყავით, გამრავლებულიყავით და წლები არასოდეს მოგკლებოდეთ ღვთის წმინდა სულით უკვდავებამონიჭებულებს.

დიდება და მზეგრძელობა საქართველოს სამოციქულო ეკლესიას, სარწმუნოების, შრომის, სიყვარულისა და სიკეთის გზით – წინ უკვდავებისაკენ, ღვთისმშობლის ხვედრი ჩვენი კურთხეული მიწის შვილებო.

„მადლი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, თქვენ ყოველთა თანა. ამინ“ (I რომ. 16.24.).

ილია II,

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

რომან ზუკაკიშვილი

საახალწლო

ფანტელები, როგორც წმინდა სანთლები
ანათებენ ღვთივკურთხეულ დილას,
უჩვეულო სიხარულით დავთვრებით,
ვიღიმით და იმიტომაც თბილა.
ნაძვის ხეს კი სიჩუმე რომ ანაზებს
ვარსკვლავები უყვებიან სიზმრებს,
რაკი ერთი გვაქვს სამშობლო ლამაზი,
თითქოს ყველას ერთი გული გვიძგერს.
დღეა მართლაც ლოცვასავით სპეტაკი,
სიმღერით და სიყვარულით სავსე,
წრფელი ნატვრა აგვისრულდეს ნეტავ კი,
ზეცის მადლი დაგვებერტყოს თავზე.
მეკვლე გვლოცავს გულით განა ჭიქითა,
დაგვებედოს მშვიდობა და სიტკბო,
დღეს და მუდამ დღეის ამას იქითაც –
ჩვენი მრავალჟამიერი იყოს.

საახალწლო ტრადიცია

ნაძვის ხე

ახალი წლის დღესასწაულისათვის ყველა ოჯახში დგამენ ნაძვის ხეს, თუმცა ნაძვის ხე უფრო საშობაო ატრიბუტია. გადმოცემით: როდესაც მაცხოვარი იშვა, მას მთელმა სამყარომ სცა თაყვანი – ანგელოზები უგალობდნენ, მწყემსებმა თაყვანი სცეს, მოგვებმა ძვირფასი ძღვენი მიართვეს. მართალ იოსებსაც სურდა გამოეხატა თაყვანისცემა ახალშობილი ქრისტეს მიმართ. რადგან ღარიბი დურგალი იყო და ბევრის საშუალება არ ჰქონდა, პატარა ნაძვი მოჭრა და ახალშობილ იესოს მიართვა. ნაძვის ხე ზეციდან გარდამოსული ვარსკვლავებით მოირთო, თავზე კი ერთი დიდი ვარსკვლავი დაადგა. სწორედ ამ გადმოცემას უკავშირდება საშობაოდ ნაძვის ხის დადგმის და მორთვის ტრადიცია. თანაც ნაძვი მარადმწვანე მცენარეა, მწვანე ფერიც მარადიულობისა და სიცოცხლის სიმბოლოდაა მიჩნეული. მაცხოვრის შობით დედამიწაზე მოსვლით ხომ მარადიული სიცოცხლე მოგვენიჭა.

ᲒᲘᲚᲝᲪᲐᲕᲗ ᲐᲮᲐᲚ — 2013 ᲬᲔᲚᲡ!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ეს პირველი წელია, რომელსაც ჩვენ ერთად შევხვდებით იმედით და იმის რწმენით, რომ ჩვენი სამშობლოს მომავლის ფორმირებაში ყველა ერთად მონაწილეობს, ერი და ბერი, ხელისუფლება და ხალხი. შემდეგი წლების მანძილზე სწორედ ასე უნდა ჩავკიდოთ ხელი ერთმანეთს და ვაშენოთ ქვეყანა იმისათვის, რომ გვქონდეს მშვიდობა, კეთილდღეობა, ჩვენს შვილებს მივცეთ საუკეთესო განათლება, უზრუნველვყოთ ჩვენი მოხუცების ღირსეული სიბერე და ერთად გავარღვიოთ უმუშევრობის და უპერსპექტივობის მოჯადოებული წრე.

დიდი მადლობა მხარდაჭერისათვის და ბედნიერების მომტანი იყოს 2013 წელი ყველა ოჯახისათვის საქართველოში.

თინათინ ხიდაშელი,
საქართველოს პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარე, მაჟორიტარი დეპუტატი საგარეჯოს მუნიციპალიტეტიდან.

ძვირფასო გარეჯელებო!

გილოცავთ დამდეგ შობა-ახალ წელს!

ღმერთმა ქნას, ჩვენს სამშობლოს მშვიდობისა და სიკეთის ახალი წელი გაუთენდეს. მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ჩვენი ქვეყანა ბევრი განსაცდელისა და გამოწვევის წინაშე მდგარა, მაგრამ ქართველი კაცი ყოველთვის ახერხებდა ფეხზე წამოდგომას და ქვეყნისთვის სასიკეთო საქმის კეთებას. ჩვენი სახელოვანი წინაპრების წინაშე ვალდებულნი ვართ, ვემსახუროთ სამშობლოსა და უფალს, მით უფრო რომ ქართველი კაცისთვის სამშობლოს ხატება და უფლის ერთგულება ყოველთვის განუყოფელი იყო. ვისურვებდი, რომ 2013 წელს სიკეთე და სიხარული მოეტანოს ჩვენი მუნიციპალიტეტისა და სრულიად საქართველოს ყველა ოჯახისათვის. წმინდანად ახლად შერაცხული ბერი გაბრიელის, ჩვენი პატრიარქისა და წმინდა მამების შეწევნით მშვიდობა დამკვიდრებულიყოს ჩვენს ოჯახებსა და ჩვენს გულებში. ხვავი, ბარაქა და შვილიანობა დაჰბედებოდეს ჩვენს საყვარელ სამშობლოს.

ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ეროვნული უმცირესობები ყოველთვის მშვიდად და მეგობრულად ცხოვრობდნენ ქართველებთან ერთად. იმედია, ახალ 2013 წელს დაიწყება ისეთი პროცესები, რომელიც აღადგენს აფხაზებთან და ოსებთან გაწყვეტილ ურთიერთობებს და ჩვენი ქვეყანა მოიშუშებს ჭრილობებს. ომისა და დაპირისპირების გარეშე დავიბრუნებთ დაკარგულ ტერიტორიებს და ჩვენს მოსახლეობას შეეძლება სამუდამოდ დაუბრუნდეს წართმეულ წინაპართა მიწა-წყალს. იმედია, წელს კვლავ გაიდება ჩატეხილი ხიდი აფხაზებთან.

კიდევ ერთხელ გილოცავთ შობა ახალ წელს და მშვიდობას, მატერიალურ კეთილდღეობას და სულიერ გაბრწყინებას ვუსურვებ სრულიად საქართველოს.

გიორგი ლოლაძე,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲠᲗᲒᲣᲚᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝ!

თქვენთან ერთად გაილია ეს ერთი წელიც – 2012.

ამ წელში ჩვენ 24-ედ ვხვდებით ერთმანეთს – გაზეთი და მკითხველი, როგორ, რანაირად შევძელით თქვენთან მოგვეტანა ჩვენი სათქმელი და ის საკითხები, რომლებიც თქვენ გაინტერესებდათ, არ ვიცით. ამ წელს პირველად მოვსინჯეთ ძალები და გამოვუშვით გაზეთის დამატება ჟურნალი „გარეჯელები", გაუბედავი, სიფრიფანა, მაგრამ ჩვენი რაიონის, მისი სახელოვანი წარსულისა და თვალსაჩინო შვილების ამბების მთხრობელი.

მადლობთ, რომ ჩვენთან ერთად იყავით, გვეხმიანებოდით, გვკარნახობდით თემებს, მხარს გვიჭერდით, ზოგჯერ შენიშვნებსაც გვაძლევდით – მეგობრულად, საქმის სასიკეთოდ.

მადლობა ჩვენი გაზეთის მკითხველებს, ჩვენს კაკაბელებს – უღალატო ადამიანებს „პურის ფულით" ზოგჯერ გაზეთს რომ ყიდულობდნენ. მადლობა საგარეჯოელ ზემო უბნელებს, სპორტგაერთიანების თანამშრომლებს, მათ სპორტსმენებს, მადლობა სამუსიკო სკოლის პედკოლექტივს, ყველას, ვინც ჩვენს გაზეთს დიდი მოლოდინით ელოდა და ინტერესით კითხულობდა.

გილოცავთ ახალ – 2013 წელს და ვისურვებდით, რომ კვლავაც ერთად ვიყოთ, ერთად ვიფიქროთ, ვიაზროვნოთ და დავეხმაროთ, ხელი შევაშველოთ, გული გავუთბოთ, მოვეფეროთ ერთმანეთს.

მომავალ 2013 წელსაც გპირდებით სიურპრიზებს, წინასწარ არ გეტყვით.

გაზეთ „გარეჯის მაცნეს" რედაქცია

წელი 2012 – ისტორიის ფურცელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი

ინფრასტრუქტურა – 2012

ქალაქი საგარეჯო

ჯაბურღილის ბურღვის სამუშაოები ჩატარდა: კახეთის გზატკეცილი № 12 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე (28638 ლარი). გაღმაუბანში სუბარტეზიული ჭის (36184), კოსტავას ქუჩა №20 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე სუბარტეზიული ჭისა და წყლის ამომქაჩველი ტუმბოს, აგრეთვე რეზერვუარის მოწყობა (29550). შეძენილ იქნა ე.წ. რკინიგზის სადგურის დასახლების მოსახლეობისათვის წყლის ტუმბო (3500). აღდგენილ იქნა: გაღმაუბანში საუბნო წყალსადენი (4350), ჯაფარიძის ქუჩაზე (188617) და ტაბიძის (40765) ქუჩაზე ასფალტის საფარი, გაღმაუბნის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის და კიკვიძის ქუჩის პროფილი, (55833) წერეთლისა და მ. ქვლივიძის ქუჩების პროფილი (14023)და სანიაღვრე არხები – სარაჯიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არე (37297).

მოეწყო: კოსტავას ქუჩაზე წყალსაწრეტი და სანიაღვრე არხები (14868), საგარეჯოს ქუჩებში გარე განათება (50313), კოსტავას ქუჩის №17 ბინის სახურავების შეცვლა (36274) და კახეთის გზატკეცილზე №9 სახლზე ჟოლაბები (2352); დავით აღმაშენებლის ქუჩის სკვერები (25057); რუსთაველის ქუჩაზე სკვერები (41832); კოსტავას ქუჩაზე სპორტული მოედანი (35086); სახანძრო სამსახურის შენობაში აბანო (2950) ვაჩნაძის, ტაბიძის, ქუჩიშვილის ქუჩებზე გარე განათება (5331).

მოხდა: მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, კოსტავას ქუჩის №14 და №18 ბინების სახურავების შეკეთება (34453). ლეონიძის № 4 (11022) და ერეკლე II-ს №76 (16207), საცხოვრებელი ბინების სახურავების ფენილის შეცვლა. რუსთაველის ქ. №238 საცხოვრებელი ბინის სახურავის შეკეთება (39495). საგარეჯოს №3 საბავშვო ბაგა-ბაღის (32115) და პატარძეულის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის შეკეთება (27290). კულტურის სახლის კოშკის ბუნებრივი ქვით მოპირკეთება (65000). მუზეუმის ტერიტორიის კეთილმოწყობა (263185), ამავე მუზეუმის საექსპონატო დარბაზის შიგა სამუშაოები (38150). სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქალაქის გამგეობის შენობას (142810) ქალაქის ცენტრს (69095), კულტურის სახლს (121716). კეთილმოეწყო მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოები და შესასვლელები (89917). ე.წ. გაღმაუბანში მოხდა საუბნო წყალსადენის აღდგენა (4350). ჩატარდა სასმელი წყლისა და კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები (5717). სკვერისათვის შეძენილ იქნა სკამები (5000). შესყიდულ იქნა სარეკლამო ბანერები (12149), მოასფალტდა დ. აღმაშენებლისა და 9 აპრილის ქუჩები (270000).

ნინოწმინდა

მოხდა სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია (41906) და კულტურული მემკვიდრეობის ზონების კეთილმოწყობა.

წყაროსთავი – სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (24867).

პატარძეული – შიდა გზების მოხრეშვა (26000).

ხაშმი – სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (32859), სასოფლო გზაზე სანიაღვრე არხის მოწყობა (39249).

უჯარმა – გაკეთდა წყლის სათავე (9926).

პალდო – შემოიღობა სარწყავი არხები (2402).

მუხროვანი – სასმელი წყლის რეაბილიტაცია (2214).

გომბორი – გზის მოხრეშვა (15696), სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (3500).

რუსიანი – გზის მოხრეშვა (5382)

ვერონა – სარიტუალო დარბაზის მშენებლობა (5608);

ვაშლიანი – გზის მოხრეშვა (2390);

ასკილაური – წყლის რეზერვუარის შეკეთება (5759);

კოჯბანი – (6337), **ოთარაანთ კარი** – (2377), **სასადილო** (5194), **გორანა** (5596) – სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია.

იკვლივ გორანა – სოფლის გზის მოხრეშვა (2440).

გიორგიწმინდა – (43615), **ანთოკი** (5131), **მარიამჯვარი** (2188) – სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია.

თოხლიაური – მდინარე თოხლიაურის გაწმენდითი (5000) და ნაპირდაცვითი სამუშაოები (64600), სოფელში საცალფეხო ხიდის გაკეთება (28021).

მანავი – სანიაღვრე არხის და სარწყავი არხის შეკეთება (27000), სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (13000), **ზემო მანავში** არსებული მინი მოედნის აღდგენა-შეკეთება (14660), **ბურდიანი** – მისასვლელი სასოფლო გზის შეკეთება (2628).

დიდი ჩაილური – სოფლის სასმელი წყლის და რეზერვუარის რეაბილიტაცია (23000), სასაფლაოს მიმართულებით მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (1754).

პატარა ჩაილური – სასაფლაოს შემოღობვა (21696), სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია (1500), სოფლის საბავშვო ბაღის შენობის II სართულზე სასმელი წყლის აყვანა (500), სოფლის ცენტრში დეკორატიული წყაროს მოწყობა (2000).

კაკაბეთი – სასმელი წყლის ქსელების რეაბილიტაცია (49700), სავარგულებთან მისასვლელი გზის მოხრეშვა (2500), სანიაღვრე არხის მოწყობა სოფლის ცენტრალურ გზაზე (3000).

ვერხვიანი – რკინიგზის ხიდის ქვეშ გასასვლელის გაწმენდა და მასში მინადენი წყლის მიმართულების შეცვლა (6500), სტადიონის გაკეთება (2000), სოფელში სანიაღვრე არხების გაწმენდა (6411),.

ბადიაური – სპორტული დარბაზი (14725), მინი სტადიონის (16000), ვენახებთან მისასვლელი ბოგირი (500).

ყანდაურა – საკრებულოს შენობის თავისუფალ ფართში ამბულატორიის გაკეთება (15000), სასმელი წყლის რეაბილიტაცია (12204) და სასმელი წყლის მილსადენის შეცვლა (2503).

უდაბნო – კულტურულ ადმინისტრაციული შენობის რეაბილიტაცია (15916)

სათაფლე – სოფელში მისასვლელი გზის მოხრეშვა (5634).

შიბლიანი – სარიტუალო დარბაზის მშენებლობა (15225).

ზემო ლამბალო – შიდა გზების მოხრეშვა (65415).

ქვემო ლამბალო – ჯაბურღილის მოწყობა (35000), შინა გზების მოხრეშვა (32664).

იორმუღანლო – სარწყავი არხის რეაბილიტაცია, გზის მოხრეშვა (42345).

ქეშალო – ჯაბურღილის გაკეთება (35000), ცენტრალური გზის რეაქბილიტაცია (25980).

დუზაბრამა – სასმელი წყლის ჯაბურღილის გაწმენდა და რეზერვუარის მოწყობა (20314).

პალდო – სოფლის სასაფლაოზე მოსაცდელის მოწყობა (16932), სასმელი წყლის ამოსაქაჩი ძრავის მოწყობა (2000).

წიწმატიანი – სოფლის სასაფლაოზე მოსაცდელის მოწყობა (20078), სასმელი წყლის რეზერვუარის შეძენა (7000).

კაზლარი – სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაცია (6500), კაზლარიდან თულარში მისასვლელი გზის მოხრეშვა (19874).

თულარი – სოფლის გზის მოხრეშვა (45778), სოფლის რამდენიმე უბანში წყლის გაყვანა (15000).

სოფლის მეურნეობა — 2012

უკეთესი მომავლის იმედით

საქართველოს სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაცია მოიცავს 13 ზონასა და 6 ქვეზონას. საგარეჯოს მუნიციპალიტეტი ეკუთვნის მე–2 გარე კახეთის მემარცვლეობა– მეცხოველეობის და მევენახეობის ზონას, რაც გულისხმობს უპირატეს ბუნებრივ პირობებს ამ დარგების განვითარებისთვის. საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დაახლოებით ცხოვრობს 63 800 მოსახლე. ირიცხება 94373 ჰა სასოფლო–სამეურნეო სავარგული მათ შორის; სახნავი 29575 ჰა, მრავალწლიანი ნარგავები 6426 ჰა, სათიბი 1398 ჰა, საძოვარი 56974 ჰა, ზამთრის საძოვრია 56108ჰა , ზაფხულის 866 ჰა–რი.

მემარცვლეობა: ბოლო წლებში მარცვლეული კულტურების წარმოებაზე გაზრდილმა დანახარჯებმა გამოიწვია ნათესი ფართობების მკვეთრი შემცირება. ხორბლის ნათესები შემცირდა 5000 ჰა–დან 3500 და 2300 ჰა–მდე. ხოლო სიმინდის ნათესები გაიზარდა 1200 ჰექტრიდან 3000 ჰექტრამდე. 2013 წლის მოსავლისათვის დათესილია 3900 ჰა ხორბალი, ხოლო ქერი 400 ჰა. სხვადასხვა კულტურის წარმოებაზე 1 ჰა–ზე დანახარჯები მერყეობს 1000 ლარიდან 1500 ლარამდე. ნიადაგის კარგი დამუშავებისთვის საშემოდგომო ნათესებისათვის უმჯობესია მიწა მოიხნას აგვისტოს თვეში, ხოლო საგაზაფხულო ნათესებისათვის დეკემბერ–იანვრის თვეში.

მეცხოველეობა:საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ირიცხება 35000 მსხვილი რქოსანი პირუტყვი, ხოლო მის 60% –ს ფურები შეადგენს. ცხვარი 98000 სულია და მისი 70% ნერბია.. ერთ ფურზე საშუალო წველადობა შეადგენს 1200 კგ–ს. ხოლო ხორცის წარმოება ცოცხალი წონით ერთ სულ მსხვილ რქოსან პირუტყვზე 100 კგ.ერთ ფურზე 200 კილოგრამს. ერთ ნერბზე საშუალო წველადობა შეადგენს 25 კგ–ს. მატყლის საშუალო ნაპარსი 3 კგ–ს. ხორცის წარმოება ერთ სულ ცხვარსა და თხაზე ცოცხალი წონით შეადგენს 22 კგ–ს, ხოლო ნერბზე 30 კგ-ია. სასაქონლო თაფლის წარმოება ფუტკრის ერთ ოჯახზე შეადგენს საშუალოდ 19კგ–ს. საშუალო კვერცხმდებელობა 140 ცალს. ხორცის საშუალო წარმოება ერთ ფრინველზე შეადგენს 2,2კგ–ს.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ერთ სულ მოსახლეზე მოდის საქონლის ხორცი დაკლული წონით 16,4 კგ. რძე 395 კგ. ადამიანის სრულფასოვანი კვებისთვის წელიწადში საჭიროა, ანუ მის ფიზიოლოგიურ ნორმას შეადგენს საქონლის ხორცი 29–31 კგ, ხოლო რძე და რძის პროდუქტები 319კგ–ს. მთლიანი ხორცის კი 69–72 კილოგრამია საჭირო. სეზონის განმავლობაში ერთი სული მსხვილი რქოსანი პირუტყისთვის საჭიროა კარგი საძოვარი 1 ჰა, ხოლო საშუალო საძოვარი 1,5–2,0 ჰექტარი. 100 ჰექტარ სასოფლო სამეურნეო სავარგულზე მოდის 37 სული მსხვილფეხა, ხოლო ცხვარი 104 სული. მეცხოველეობის დარგის განვითარება მოითხოვს რძისა და ხორცის ორგანიზებული შესყიდვის სისტემის შექმნას და მათი მაღალტექნოლოგიურ პირობებში გადამუშავებას ყველა რაიონში. აგრეთვე მყარი საკვები ბაზის შექმნას.

მევენახეობა:ვენახის მთლიანი ფართობი შეადგენს 3297,7ჰა-ს, მათ შორის; რქაწითელია 2392–ჰა, საფერავი 694,2 – ჰა, ჰიბრიდი–210,8–ჰა, ყურძნის საშუალო მოსავლიანობა წლების მიხედვით მერყეობს 5 ტონიდან 7 ტონამდე. რქაწითელის ყურძნის წარმოებამ 2012 წლისათვის შეადგინა 9000 ტონა, ხოლო საფერავი 2800ტონა. ვენახების დიდი ფართობებია შემდეგ სოფლებში: კაკაბეთი, მანავი, ქ. საგარეჯო, ხოლო საფერავი: ხაშმი, დ/ჩაილური, კაკაბეთი და ასე შემდეგ. ყურძნის მოსავლის კარგად ორგანიზებული ჩაბარება და მასზე გაზრდილი ფასი გამოიწვევს დარგის მიმართ მაღალ ინერესს და მის განვითარებას.

მელიორაცია: მელიორაცია სოფლის მეურნეობის განვითარების ერთ–ერთი ძირითადი ფაქტორია. გარე კახეთის ტერიტორია მოიცავს მდინარე იორის აუზში შემავალ ფართობებს, აქ სასოფლო–სამეურნეო კულტურების მაღალი მოსავლის მიღების მთავარი დამაბრკოლებელი ბუნებრივი ფაქტორია, ატმოსფერული ნალექების სიმცირე და არათანაბარი განაწილება წლის განმავლობაში. ამიტომ საგარეჯოსმუნიციპალიტეტში მორწყვა სასოფლო–სამეურნეო წარმოების აუცილებელ პირობას წარმოადგენს და წარმოებულ პროდუქციის ნახევარზე მეტი სარწყავ მიწებზე იწარმოება. სარწყავი სისტემების სრული რეაბილიტაციის შედეგად შესაძლებელია მოირწყას მუნიციპალიტეტის სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების 58%, ხოლო დანარჩენი მიწის ნაკვეთები ურწყავ მიწებს წარმოადგენს. სადაც არასოდეს ყოფილა სარწყავი სისტემა.

მექანიზაცია:სასოფლო–სამეურნეო წარმოების მექანიზაცია წარმოადგენს, ქვეყნის აგრარული სექტორის განვითარების ერთადერთ ცივილიზებულ გზას, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობას ემსახურება შ.პ.ს. „მექანიზატორი“, რომელთა დაქვემდებარებაშია 30ერთეული სხვადასხვა სახის ტექნიკა, აქედან 4მარცვლელულის ამღები კომბანია. ხოლო მოსახლეობის საკუთრებაშია დაახლოებით 97ერთეული სხვადასხვა სახის გამართულ მდგომარეობაში არსებული სასოფლო–სამეურნეო ტექნიკა. სოფლის მეურნეობის განვითარების მდგომარეობას ართულებს ტექნიკური აღჭურვილობა ფართობის ერთეულზე. მაგალითად საგარეჯოს მუნიციპალიტეტში 100 ჰა, სახნავ და მრავალწლიანი ნარგავებზე მოდის 0,36 ერთეული ტრაქტორი, ხოლო მარცვლელულის ყოველ 100ჰა, ნათეს ფართობზე 0,25 კომბაინი, ეს იმას გულისხმობს, რომ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სრულყოფილი განვითარებისათის არასაკმარისია სასოფლო –სამეურნეო ტექნიკა.

როგორც მთლიანად რესპუბლიკაში ასევე საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სავარგულების დაბალი პროდუქტიულობა აისახება რიგი მიზეზებით, რომელთა შორის მთავარია მელიორაციული სისტემების ავარიული მდგომარება, მინერალური და ორგანული სასუქების გამოყენების დაბალი დონე და სასფლო–სამეურნეო სამუშაოთა მექანიზაციის საშუალებებთან დაკავშირებითშექმნილი პირობები.

გია გუჩაშვილი,
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის
გამგეობის სოფლის მეურნეობის
სამსახურის უფროსი სპეციალისტი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი

რით იყო დასამახსოვრებელი 2012 წელი?

კულტურა

თინათინ მეზვრიშვილი

საგარეჯოს კულტურის სახლის მენეჯერი:

მნიშვნელოვანი, საქმიანი და წარმატებული იყო 2012 წელი საგარეჯოს კულტურის სახლის თანამშრომელთა საქმიანობაში. ამ წელს საგარეჯოელმა მაყურებელმა გულთბილად მიიღო მ. ჭიაურელის სახელობის საგარეჯოს სახალხო თეატრის სპექტაკლი-პრემიერა „ოჯახური იდილია“, სადაც ჩვენმა მსახიობებმა კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს მაყურებელს, რომ საკმაოდ წარმატებულად აგრძელებენ გარეჯელ თეატრალთა მიერ დატოვებულ ტრადიციებს – თამაშობენ გულიანად, ლაღად და ისე, როგორც მაყურებელს მოეწონება.

– 2012 წელს თოჯინების თეატრის მიერ აღდგენილ იქნა 5 სპექტაკლი, მათ მიერ სცენაზე ნაჩვენები იქნა 16 სპექტაკლი, საიდანაც 2 საქველმოქმედო იყო.

– 2012 წელს ჩატარდა ფოლკლორული კოლექტივების დათვალიერება, რომელშიც აშკარად და თვალნათლივ გამოჩნდა ის შრომა და ღვაწლი, რასაც ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი, ანსამბლის თითოეული წევრი დებს ფოლკლორის შესასწავლად, დასამუშავებლად და ამ ნიმუშების უკვდავსაყოფად.

– 2012 წელს კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა და ქართული სული უჩვენა ბავშვთა ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედმა“ თურქეთის ქ. ბაიბურთის ფოლკლორული ფესტივალის მონაწილეებსა და მაყურებლებს.

– 2012 წელს საგარეჯომ მიიღო და უმასპინძლა ფრანკოფონიის საინტერესო დღეებს – კახეთის რეგიონში არსებული ფრანგულენოვანი თვითმოქმედი თეატრების დათვალიერებას.

– 2012 წელს ყვარელში გამართულ „ილიაობაზე“ აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა და სახალხო თეატრის მსახიობებმა.

– 2012 წელს ჩატარდა ფოლკლორული კოლექტივების საანგარიშო კონცერტი.

2012 წელი – დიდი წარმატებებისა და გამრავლების

ახალი წელი ზეიმითა და ფანტასტიური ფეიერვერკებით, განსაკუთრებული ტრადიციებით აღინიშნა მთელ პლანეტაზე.

ჩვენ, მასწავლებლები წელიწადში ორჯერ ვემზადებით ახალი წლის შესახვედრად.

ერთი ახალი წელი, რომელსაც კალენდრის მიხედვით მსოფლიო 1 იანვარს აღნიშნავს, მეორე კი – ახალი სასწავლო წელი, რომელიც ჩვენთვის სექტემბერში იწყება. შესაბამისად შეიძლება შევაფასო გასული 2012 წელი და გასული სასწავლო წელი.

ჩემთვის პროფესიული თვალსაზრისით გასული სასწავლო წელი ძალიან ნაყოფიერი იყო. მონდომებისა და ძალისხმევის შედეგად წარმატებით ჩავაბარე პედაგოგთა სასერტიფიკაციო გამოცდები და მომენიჭა „საუკეთესო შედეგების მქონე სერტიფიცირებული მასწავლებლის“ სტატუსი.

გასულ სასწავლო წელს გავაცილე მე-4 კლასი. 4 წლის განმავლობაში სითბოთი და სიყვარულით სავსე გარემოში ვმუშაობდით. დარწმუნებული ვარ, ისინი მომავალში აირჩევენ ცხოვრების ჭეშმარიტ გზას და ღირსეული მოქალაქეები გახდებიან.

მათი ადგილი ახალმოსულმა პირველკლასელებმა დაიკავეს. უკვე დაეუფლნენ სასკოლო უნარ-ჩვევებს. ანბანის შესწავლასაც მალე დავამთავრებთ. ძალიან დიდი მონდომებით „გამოგვყავს“ თითოეული ასო. საკმაოდ კარგად ფლობენ კომპიუტერულ უნარ-ჩვევებს. ძალიან უნდათ რომ ბევრმა მასწავლებელმა გაიცნოს. საახალწლო ზეიმისთვის ხალისით ემზადებოდნენ. რა ლამაზად მორთეს ნაძვის ხე!

გასული წელი გამრავლების და სიხარულის მომტანი იყო ჩემი ოჯახისათვის – ქვეყანას მოევლინა პატარა ანა – ყველაზე ლამაზი, ყველაზე მშვენიერი პრინცესა. გავხდი ორგზის ბებია - ნიკოლოზისა და ანასი.

ყველას მინდა მივულოცო ახალი წელი, ჩემი ოჯახის წევრებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს, რომლებიც თანამშრომლობენ ჩემთან.

განსაკუთრებით მინდა მივულოცო ახალი წელი ჩემს პედკოლექტივს და ჩვენი სკოლის დირექტორს ქ-ნ ლელა ფანოზიშვილს, რომელიც გვერდში გვიდგას, ხელს გვიწყობს პედაგოგიურ საქმიანობაში და თავდაუზოგავად ზრუნავს სკოლის განვითარებაზე.

განათლება

ირინა ნადირაშვილი,

საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი

სალომე ქოქიაური

XI[1] კლასი, №2 საჯარო სკოლა

2012 წელი იმით იყო მნიშვნელოვანი, რომ ამ წელს ჩემს ასაკს კიდევ ერთი წელი შეემატა. ე.ი. გავიზარდე! მე ახლა 17-ის ვარ. ყველაზე ლამაზი ასაკის, არა, არა, ლამაზი ასაკის კი არა მარტო, უფრო სწორად – 17 წლის გოგონა – ოცნებებით, დიდი, დიდი, ცისფერი და ვარდისფერი ოცნებებით სავსე. ჩემი სიმღერების რეპერტუარს უფრო საინტერესო სიმღერები შეემატა – სიყვარულზე, მამულზე, ქართველობაზე. უფრო მეტად შევიგრძენი ის პასუხისმგებლობა, რაც მე – 17 წლის გოგონას მაქვს – მე XI კლასში. განათლების სისტემაში სულ ახალ-ახალი დავალებები და ამოცანები გვაქვს, ხოდა, ფეხი უნდა ავუწყოთ ამ რეფორმას. როცა პასუხისმგებლობა მეკისრება და თანაც სერიოზული – „სიმწიფის ატესტატის“ მოსაპოვებლად, ე.ი. დიდი ვარ!

2012 წელს მქონდა კონცერტები ჩემს მეგობრებთან ერთად, საგარეჯოში, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებსა და რაიონებში. აქაც ვგრძნობ, რომ გავიზარდე, რადგან სცენას და აუდიტორიას უკვე სხვადასხვანაირად ვუყურებ - მეტი პასუხისმგებლობით და მეტი ინტერესით. აი, ეს ინტერესი გადამყვება 2013 წელსაც.

ანი როსტიაშვილი

საგარეჯოს II საჯარო სკოლის XI-კლასელი

ეს წელი ძალიან მნიშვნელოვანი იყო ჩემს ცხოვრებაში... უამრავი რამ მოხდა, უფრო მეტად კარგი. და რატომ?! თუნდაც ის, რომ ამ წელს თექვსმეტის გავხდი. მართალია, გულიც ძალიან დამწყდა ჩემი ძმის გამო – ჯარში წაიყვანეს. ჩემი ძმა უზომოდ მიყვარს, ვღელავ და ვფიქრობ მასზე... ამ წელს უამრავი სურვილი ამისრულდა, რაც კი გულით ვინატრე. ჩამოთვლა რომ დავიწყო, ალბათ შორს წავალ, მაგრამ ერთს მნიშვნელოვანს გამოვყოფ, ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანს და თქვენ გაგანდობთ – „შეყვარებული ვარ“. უფლის მადლობელი ვარ ამდენი სიკეთისათვის, რომელიც მე მიწყალობა. ვისურვებდი, რომ ყველა ადამიანს, განსაკუთრებით ჩემი ასაკის ახალგაზრდებს, ასრულებოდეთ, რაც კი გულით უნატრიათ, რადგან მინდა, რომ ჩემთან ერთად ამ ქვეყანაზე ყველა-ყველა იყოს ბედნიერი. ისე, ჯერ ყველაფერი არ დასრულებულა მეგობრებო! თქვენთან ერთად მეც ახალ წელს კიდევ უფრო დიდ ბედნიერებასა და სიკეთეს ველი...

მერი ჭიაურელი

საგარეჯოს მეორე საჯარო სკოლა, XI კლასი

2012 წლის სექტემბერში დავრწმუნდი, რომ 2012-2013 წლები ჩემთვის და ჩემი თანატოლებისათვის წარმატებული უნდა იყოს – ეტაპობრივად იმ საგნების ჩაბარება, რომელიც ბოლოს სკოლის კურსდამთავრებულის ატესტატს მოგვაპოვებინებს. როგორ არ ჩავთვალო 2012 წელი განსხვავებულ წლად წინა თაობების მეთერ-

ახალგაზრდობა

თმეტეკლასელებთან შედარებით? ახლა მეთორმეტე კლასის ბოლოს ერთნაირად, ერთბაშად კი არ ვაბარებთ ყველა გამოცდას, არამედ ნაწილობრივ – XI კლასის ბოლოს ოთხ ძირითად საგანს, 2013 წლის შემოდგომაზე – ოქტომბერშიც შეგვიძლია ამ ოთხი ძირითადი გამოცდის ჩაბარება. საბოლოოდ კი XII კლასის ბოლოს, მაისში სრულყოფილად დავამთავრებთ საჯარო სკოლის კურსს. ასე, რომ 2012 წელი გარდა პოლიტიკური აქტიურობისა, განათლების სისტემაში მიმდინარე აქტიურ წლადაც გვევლინება.

გიორგი ურდულაშვილი

საგარეჯოს II საჯარო სკოლა, XI კლასი

2012 წელს დავამთავრე მეათე კლასი და გადავედი მეთერთმეტეში, რომელიც ჩემთვის ერთი ჩვეულებრივი სასწავლო წელი მეგონა, მაგრამ... სრულიად საპირისპირო აღმოჩნდა – მნიშვნელოვანი გახდა საბუნებისმეტყველო საგნები, რომლებიც ბოლო ხანს თითქმის, თუ შეიძლება ასე ითქვას, აღარ ისწავლებოდა... მნიშვნელოვანი იმითაცაა, რომ საგნები გაიყო, 2012 წელი 2013 წლის გაზაფხულისა და შემოდგომის „ოფლის წურვისთვის“ გვამზადებს...

მარიამ ქურდოვანიძე

საგარეჯოს I საჯარო სკოლა, III კლასი



2012 წელს ქორეოგრაფიულ ანსამბლ „იმედში“ ჩავირიცხე. მალე ცეკვა ქართულს ცალკე დავიწყებთ. ანსამბლიდან სამი შეგვარჩიეს ამ ცეკვისთვის. ბედნიერი და გახარებული ვარ. ძალიან ბევრი ათიანები მივიღე და გავახარე დედიკო, მაგრამ გულისტკენაც დამიტოვა ამ წელმა. ჩემი გამზრდელი პაპიკო ზამთრის დასაწყისში წავიდა ამ ქვეყნიდან.

ლუკა ბურჯიძე

საგარეჯოს II საჯარო სკოლა, III კლასი

2012 წელს რამდენიმე საჭადრაკო ტურნირში მივიღე მონაწილეობა. 8 წლიანთა I ლიგაში III ადგილი დავიკავე. ქარსელაძის მემორიალზე გროსმაისტერ დავით გურგენიძის გუნდში I ადგილი დავიკავეთ. ჩვენი რაიონის 8 წლიან მოჭადრაკეთა გუნდმა ქ. ქუთაისში ჩირაძის მემორიალურ პირველობაში I ადგილი დავიკავეთ. ჩემთან ერთად წარმატებებს მიაღწიეს ნიკა კევლიშვილმა, ეთერ ხებრელაშვილმა და ნინო გოდერძიშვილმა.

იუბილე

საგარეჯოს ქალაქად გამოცხადებიდან 50 წელი გავიდა

საგარეჯო 50 წლის წინ

ზუსტად 50 წლის წინ საგარეჯო ქალაქი გახდა. ბუნებრივია, ეს იყო წინ გადადგმული ნაბიჯი გარეჯელთა ცხოვრებაში, რადგან ქალაქზე ზრუნვა მის კეთილმოწყობაზე, დაფინანსება უფრო აქტუალური იყო, ვიდრე დაბის და რაიონული ცენტრის. გარდა ამისა, იყო მთელი რიგი დაპირებანი, რომ აშენდებოდა სამრეწველო ობიექტები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საცხოვრებელი სახლები. მოსახლეობა გარდა სოფლის მეურნეობისა, დასაქმდებოდა სამრეწველო ობიექტებში.

ფაქტიურად, ყველაფერი ეს კეთდებოდა იმის სანაცვლოდ, რომ გაუქმებული იქნა საგარეჯოს ადმინისტრაციული რაიონი. მისი სოფლები გაუნაწილეს გურჯაანისა და გარდაბნის რაიონებს–საგარეჯო აღარ იქნებოდა რაიონული ცენტრი და ის იქნებოდა ქალაქი.

რაიონების გამსხვილება ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა. კომპარტიის მაშინდელი ხელმძღვანელი ნიკიტა ხრუშოვი და პოლიტბიურო ფიქრობდა იმას, რომ როგორმე გადაერჩინათ ქვეყნის ეკონომიკა და თითქოს ოპერატიული მართვისათვის რაიონების გაერთიანება დაიწყეს. ბუნებრივია, ამ ღონისძიებაში ყველაფერი არ იყო გათვლილი. როცა რაიონის ადმინისტრაცია (პარტიული და საბჭოთა ორგანოები) 60 კმ–ს რადიუსში ვერ წარმართავდნენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სწორ მუშაობას, ამას როგორ მოახერხებდნენ 150 კმ–ის რადიუსში, როცა არც კავშირგაბმულობის დღევანდელი საშუალებები და არც საჭირო ავტოტრანსპორტი არ იყო.

ამ ცვლილებამ, რომელსაც სათანადო პროპაგანდისტული საფუძვლები ჰქონდა, მხოლოდ ცხრა თვე გაძლო. კვლავ დაგვაბრუნეს საგარეჯოში ის მუშაკები, რომლებიც გურჯაანიდან საგარეჯოს ყოფილ სოფლებს ვემსახურებოდით. ყველაფერი კი ეს მოხდა საგარეჯოსა და მისი მოსახლეობის საკეთილდღეოდ. საგარეჯო კვლავ გახდა რაიონის ცენტრი, ხოლო რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის და რაიკომის მდივნის სახით პატრონი გაუჩნდა იმ დაპირებების შესრულებისათვის ზრუნვას, რაც ქალაქად გარდაქმნის პერიოდში საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ იკისრა. კერძოდ, ყურადღება მიექცა სამრეწველო ობიექტების: საბურავების შემკეთებელი და „გაზ–69 “ მარკის „კოლხოზნიკების“ ავტომანქანების შემკეთებელი ქარხნების მშენებლობას. 1964 წელს საგარეჯოში შემოყვანილ იქნა ბუნებრივი გაზი. დაიწყო საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

მაგრამ, როგორი იყო საგარეჯო სანამ იგი ქალაქი გახდებოდა? ეს იყო დაბა თავისი მდიდარი ისტორიითა და ტრადიციებით. იგი იყო სასოფლო–სამეურნეო რაიონის ცენტრი თავისი ადმინისტრაციული და მმართველობითი ორგანოებით.

გარე კახეთის ჰავა, მისი კლიმატური პირობები, ნიადაგი არ იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კახეთის ზოგიერთი რაიონივით, აქაც უხვი მოსავალი მოეყვანათ. მაგრამ, გარე კახელი კაცი ბედს არ უჩიოდა–უვლიდა ვაზს, მოჰყავდა მარცვლეული კულტურები, უვლიდა საქონელს. ყოველთვის ჰქონდა პურ–ღვინო სტუმრის დასახვედრად, არც ქეიფს იკლებდნენ და არც ამქვეყნიდან გასულებს მიაგებდნენ ნაკლებ პატივს.

მახსენდება საგარეჯოს ხანში შესულ მამაკაცთა პურმარილები მაშინდელ „რესტორანში“, რომელიც ყოფილი რაიკავშირის პირველ სართულზე იყო–სარდაფში. ეს სარდაფი დღე სინათლეს იყო მოკლებული, მუდმივად შუქი, ან სანთლები ენთო. აქ მოქეიფეს დაკარგული ჰქონდა დროის შეგრძნება–არ იცოდა, დღე იყო, თუ დაღამდა. მაგრამ, მათ ყოველთვის შერჩენილი ჰქონდათ კაცობის შეგრძნება და იცოდნენ, რომ ამ სარდაფიდან ფეხარეული ვერვინ ვერ ამოვიდოდა. მათ პურმარილზე მხიარულება სუფევდა, ურთიერთ გაქილიკება, საინტერესო ამბების მოგონება, წაღიღინება.

მაშინ დღევანდელივით ბევრი გასართობი არ იყო, ამიტომ, როგორც იტყოდნენ – პურის გატეხა, პურმარილი საუკეთესო ადგილი იყო ურთიერთპატივისცემისა და მოლხენისათვის. ბედნიერი იყავი, თუ სუფრაზე დათა ივანელაშვილი და შალიკო მათიაშვილი აღმოჩნდებოდნენ. მათი სიმღერები ხომ სუფრის გვირგვინი იყო. საგარეჯოში ბევრი განთქმული თამადა იყო, ზოგიერთი მათგანის მიერ ნათქვამი სადღეგრძელოები დღესაც სიამოვნებით ისმევა.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ საგარეჯოელთა წამოწყება–პენსიონერებმა ელიზბარ ქურდოვანიძის მეთაურობით შექმნეს ჯგუფი, რომლის წევრობა საპატიო მისია იყო. ამ ჯგუფში 15–18 კაცი შედიოდა, დაწესებული ჰქონდათ, 15 დღეში ერთხელ ჯგუფის ერთ–ერთი წევრის ოჯახში იკრიფებოდნენ და ქეიფობდნენ, თამადა მასპინძელი უნდა ყოფილიყო. სუფრაზე ისეთი ატმოსფერო სუფევდა, რომ ეს იყო ქართული სუფრის, დროსტარების საუკეთესო გაკვეთილი და ნიმუში.

საგარეჯოელები დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს საგარეჯოს თეატრის დასის მუშაობას. დასის მოყვარული მსახიობები, რომელთაც შემდეგ სახალხო თეატრი შექმნეს, დიდი პატივისცემით სარგებლობდნენ საგარეჯოელებში. ისინი დასის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების მუდმივი მაყურებლები იყვნენ. ოჯახებით დადიოდნენ სპექტაკლებზე და მათი დარბაზში ქცევის წესები დღეს ბევრ თეატრს შეშურდებოდა. საგარეჯოელები ოდითგანვე პატივს მიაგებდნენ სპორტის ისეთ სახეობას, როგორიცაა ქართული ჭიდაობა. თაობიდან თაობაში გადადიოდა განთქმულ მოჭიდავეთა სახელები. საგარეჯოში „ხატის კაკლებთან“, იქ, სადაც დღეს სტადიონია, ღია ცის ქვეშ იყო საჭიდაო სარბიელი. აქ ბევრ ქართველ მოჭიდავეს უფალავნია: არსენ მეკოკიშვილის, მიხა ქურხულის, შალვა გზირიშვილის სამშობლოში, ბუნებრივია, ვერვის გააკვირვებდი. მაგრამ, საკვირველი საგარეჯოელი ახალგაზრდების დაინტერესება იყო სპორტის ამ სახეობით. საჭიდაო დარბაზის უქონლობა აფერხებდა ამ დარგის განვითარებას. ამიტომ იყო, რომ 1957 წელს დაიწყო საგარეჯოში საჭიდაო დარბაზის მშენებლობა. ახალგაზრდობა თოხლიაურის რიყის სათავიდან ეზიდებოდა ქვას მშენებლობისათვის. დღევანდელი საჭიდაო დარბაზის ადგილას აშენდა საჭიდაო დარბაზი, რომელსაც მრგვალი ფორმა ჰქონდა. დარბაზში ერთი ხალიჩა იყო, ამფითეატრის სტილის ხალიჩის გარშემო არსებული სკამები 500–მდე მაყურებელს იტევდა.

საინტერესო ის იყო, რომ გარეჯელი მაყურებელი კარგად იცნობდა ქართული ჭიდაობის ილეთებს, მის ყველა ნიუანსს. მათ შემდეგ, ასევე, ადვილად აითვისეს თავისუფალი და ბერძნულ–რომაული ჭიდაობის ილეთები. ამ არენაზე ძნელი იყო ჭიდაობა, რადგან შენ გიყურებდა გათვითცნობიერებული მაყურებელი, მით უფრო ძნელი იყო მსაჯობა, რადგან მაყურებელი ზუსტად აჯამებდა ჩატარებულ ილეთებს. ბუნებრივია, ისინი მსაჯებს ხელს არ უშლიდნენ თავიანთი რეპლიკებით, მაგრამ, თუ საჭირო გახდებოდა და შეიქმნებოდა კონფლიქტური სიტუაცია, რაიმე ობიექტურად არ გადაწყდებოდა, საქმეში ჩაერეოდა „მძიმე არტილერია“–ასაკიანი მოჭიდავეები და ჭიდაობის ილეთების მცოდნენი მარკოზ ბაბუნიძე, ამირან არჩუაძე (ფეშხანას ბიჭი) და სხვები. მახსოვს, პრიზებს გადასცემდნენ გამარჯვებულ მოჭიდავეებს. გამოაცხადეს, რომ ჭიდაობაში კარგი ტექნიკისათვის პრიზი მიეკუთვნა გორელ მოჭიდავეს – ბერუაშვილს. დარბაზმა ერთხმად დაიქუხა – ეგ ყველას ჯობდაო. დიახ, თავისი ვაჟკაცური დგომით, ტექნიკური ჭიდაობით მან გარეჯელთა სიმპათია დაიმსახურა. მერე რა, რომ ის გორელი იყო და არა საგარეჯოელი?! ობიექტურმა მაყურებელმა მას პატივი მიაგო.

საგარეჯო, გორთან, კასპთან, ახმეტასთან ერთად დიდებული ფალავნების სამჭედლო არის. მარტო ჩვენი ლევან თედიაშვილის ოსტატობის გახსენება რად ღირს?! თაობები უნდა ელოდონ ,რომ ლევანის შედეგი გაიმეოროს საგარეჯოელმა ახალგაზრდობამ.

დაბა იყო საგარეჯო, მაგრამ მისი მცხოვრებნი არავის არ ჩამორჩებოდნენ. მათ საკუთარი კურორტიც ჰქონდათ. გასული საუკუნის 50–იან წლებში დაიწყო გზის გაყვანა ცივ – გომბორის მთებში ცივ – კოდისაკენ, რომლის კლიმატი ბავშვებისათვის მეტად სასარგებლოა. ამ პერიოდში საგარეჯოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის გივი დუჩიძის თაოსნობით კოდაზე აშენდა ბავშვებისათვის დასასვენებელი სახლი. ამ შენობაში გაჰყავდათ საგარეჯოს საბავშვო ბაგა – ბაღის აღსაზრდელები ზაფხულობით. ცივ – კოდაზე ადიოდნენ საგარეჯოელები ოჯახებით ივლის – აგვისტოში.

ნუგზარ გურჯიძე,
საგარეჯოს კომპარტიის რაიკომის ყოფილი მეორე მდივანი, ისტორიკოსი, იურისტი.

მართლმადიდებლობა

ხატი „საქართველოს იმედი“ 1 წლისაა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ გასული წლის 24 დეკემბერს ასე მიმართა ქართველ ერს:

„თითქმის 2000 წელი ელოდა ქართველი ერი ასეთ ხატს. დიდება უფალს, რომ ჩვენ გაგვხადა ღირსი შექმნილიყო ეს ხატი, რომელსაც 3 წელი ვაკეთებდით. ამ ხატს ეწოდება „საქართველოს იმედი“. ეს არის დიდი ხატი, მსგავსი ხახულის ღვთისმშობლისა. მასზე ოთხასზე მეტი წმინდანის პატარა ხატია მოთავსებული, შემკულია მინანქრისა და ოქროს ფირფიტებით.

ეს ხატი იქნება ღვთის მადლითა და ძალით სასწაულმოქმედი და ყოველი ადამიანი, რომელიც სარწმუნოებით, სიმდაბლით, სიყვარულით მივა ამ ხატთან, მას აღესრულდება თხოვნა მისი და ლოცვა მისი.

აქ არიან ქართველი და მსოფლიო წმინდანები, შევთხოვოთ მათ მოიღონ წყალობა ჩვენს ქვეყანაზე, მთელ მსოფლიოზე, დაგვეხმარონ ამ განსაკუთრებულ წლებში და დღეებში.

ამ ხატის მადლით ღმერთმა დალოცოს, გაახაროს, გაამთლიანოს და დაამშვიდოს სრულიად საქართველო. ამ ხატის მადლით ღმერთმა დაუბრუნოს ჩვენი ქართველი ხალხი უცხოეთიდან საქართველოს. ამ ხატის მადლით ღმერთმა გვაცხოვნოს ჩვენ, ამინ.“

„საქართველოს იმედის“ ხატი სიგრძე-სიგანით ორ-ორი მეტრია და ზუსტად ხახულის კარედის ფორმისაა. ტიხრული მინანქრის ტიხრის სიმაღლე არის 1.2მმ – ყველაზე მაღალი მსოფლიოში და ხშირია მასში ტიხარი. ხატს მსგავსება აქვს „საქართველოს დიდების“ ხატთან. ქრისტეს კვართის საქართველოში ჩამობრძანების ისტორია აქაც კარგად იკითხება, თუმცა, პატრიარქის კურთხევით, მასზე წმიდა სიდონია გამოსახულია მუხლმოყრილი და არა მიცვალებული.

პირველი ძვირფასეულობა სიწმინდეს კათოლიკოს-პატრიარქმა შესწირა: ბრილიანტებით და ზურმუხტის თვლებით მოოჭვილი გულსაკიდი და 7 კგ ოქრო. ხატის მოჭედვას დასჭირდა 50 კგ ოქრო, გამშვენებულია პატიოსანი თვლებით.

ხატი აგრძელებს ტრადიციას და იმეორებს საქართველოში ფართოდ გავრცელებულ კარედის ფორმას. იგი კაკლის ხისაა, იგი მოჭედილია ოქროთი, პატიოსანი თვლებით. კარედის ხატის პირს ამკობს შენაწირი თვალ-მარგალიტი, ძვირფასი ბეჭდები და სხვადასხვა სახის სამკაული, ხატის ცენტრალური ნაწილის ქვედა არეში განთავსებულია 52 სანაწილე ბუდე.

ხატი მოჭედილია 800-იანი სინჯის ხალასი ოქროთი, ჭედურობაზე მუშაობდა დეკანოზი იაკობ აბასიძე, რამდენიმე მჭედელთან ერთად. ამ სამუშაოებს ხელმძღვანელობდნენ: არქიმანდრიტი ილია (ნასიძე), არქიმანდრიტი სერაფიმე (ჭედია).

დღეს ეს ხატი თქვენს ოჯახში შემობრძანდა, ძვირფასო მკითხველო, ფეხბედნიერი იყოს მისი შემობრძანება.

გაზეთი „გარეჯის მაცნე“ გილოცავთ ახალ წელს, სიკეთის და სიხარულის ათვლა ყოფილიყოს ამ კალენდრიდან თქვენი ოჯახისათვის და სრულიად საქართველოსათვის.

2013

იანვარი

ორშაბათი		7	14	21	28
სამშაბათი	1	8	15	22	29
ოთხშაბათი	2	9	16	23	30
ხუთშაბათი	3	10	17	24	31
პარასკევი	4	11	18	25	
შაბათი	5	12	19	26	
კვირა	6	13	20	27	

თებერვალი

	4	11	18	25
	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	
2	9	16	23	
3	10	17	24	

მარტი

	4	11	18	25
	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31

აპრილი

1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	

მაისი

ორშაბათი		6	13	20	27
სამშაბათი		7	14	21	28
ოთხშაბათი	1	8	15	22	29
ხუთშაბათი	2	9	16	23	30
პარასკევი	3	10	17	24	31
შაბათი	4	11	18	25	
კვირა	5	12	19	26	

ივნისი

3	10	17	24	
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	
1	8	15	22	29
2	9	16	23	30

ივლისი

1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	
7	14	21	28	

აგვისტო

	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	

სექტემბერი

ორშაბათი		2	9	16	23	30
სამშაბათი		3	10	17	24	
ოთხშაბათი		4	11	18	25	
ხუთშაბათი		5	12	19	26	
პარასკევი		6	13	20	27	
შაბათი		7	14	21	28	
კვირა	1	8	15	22	29	

ოქტომბერი

	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	31
4	11	18	25	
5	12	19	26	
6	13	20	27	

ნოემბერი

	4	11	18	25
	5	12	19	26
	6	13	20	27
	7	14	21	28
1	8	15	22	29
2	9	16	23	30
3	10	17	24	

დეკემბერი

	2	9	16	23	30
	3	10	17	24	31
	4	11	18	25	
	5	12	19	26	
	6	13	20	27	
	7	14	21	28	
1	8	15	22	29	

აი, მომავალი წლის პრიორიტეტებიც

სარედაქციო ფოსტიდან

პრობლემები, რომლებსაც გვერდს ვერ ავუვლით...

სარედაქციო ფოსტიდან

ამ წერილის დაწერა ერთმა მნიშვნელოვანმა ფაქტმა გადამაწყვეტინა.

ერთ დღეს ჩემს შვილიშვილს ვასეირნებდი ქუჩაში, ქალაქის ცენტრში გაზეთის საყიდლად შევჩერდი, ბავშვის ყურადღება იქვე მდგარმა ძეგლმა მიიქცია და მკითხა, – ბებო, ეს ვისი საფლავიაო?

არ ვიცოდი, როგორ ამეხსნა 4 წლის ბავშვისათვის, ვინ იყო სოლომონ ქურდიანი (ღმერთმა შემინდოს), რადგან საგარეჯოში ბევრი გამორჩეული ადამიანი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, პროფესორიც და აკადემიკოსებიც, მათ შორის ქურდიანების გვარიდან (არჩილ ქურდიანი – ცნობილი არქიტექტორი, გრიგოლ ქურდიანი – ცნობილი ინჟინერი, მეტალურგი, ზაქარია ქურდიანი – საქართველოს დამსახურებული ინჟინერი და არქიტექტორი, იოსებ ქურდიანი – ერთ-ერთი პირველი ქართველი მეტალურგი).

მე არ ვიცი, რა პრივილეგიით გამოარჩიეს ეს ადამიანი, ახლაც ხომ ბევრია ე.წ. პროფესორები, რომლებმაც თვითონაც არ იციან, რისთვის მიიღეს ეს პროფესორობა. უცებ შემეშინდა – ძეგლების დადგმა პოპულარული თუ გახდა, რამდენი მდიდარი ადამიანი შეეცდებოდა აქ თავიანთი ახლობლის ან წინაპრის ძეგლის დადგმას.

30-მდე ადამიანს ვკითხე, იცოდნენ თუ არა, ვინ იყო ს. ქურდიანი და მხოლოდ ერთმა ადამიანმა – მიხეილ ფანოზიშვილმა იცოდა, რომ ის იყო მეტყევე (აქვე დავძენ, რომ ის იყო ბოტანიკის და სატყეო მეურნეობის კათედრის ხელმძღვანელი).

მე ვამაყობ, როცა მახსენდება, რომ გოგლა ლეონიძის და რევაზ ინანიშვილის თანამემამულე ვარ. მე არ ვიცი, ვის თავში მოიხარშა ეს აზრი – რაიონის ცენტრში დაედგათ ს. ქურდიანის ძეგლი. ეს ძეგლი მის სასაფლაოს უფრო დაამშვენებდა. ამასწინათ ერთი სამარცხვინო ფაქტიც მოხდა, ვიღაცამ ძეგლთან ჭიქა დადგა – ეტყობა მართლა სასაფლაო ეგონა.

სოლომონ ქურდიანის ძეგლი

წიქარა

მე სინდისი მაწუხებს და მრცხვენია, როცა ჩვენივე რაიონში მცხოვრები მოქანდაკე იური ასლამაზიშვილის სახლთან ჩავივლი და მის ეზოში შევნიშნავ ქანდაკებას „წიქარა“, რომელზეც ავტორი 10 წელი მუშაობდა... დგას და ელოდება კეთილგონიერი ადამიანის გამოჩენას, რათა რომელიმე სკვერში დაიმკვიდროს ადგილი. ეს ქანდაკება ხომ მაღალი გემოვნების ნებისმიერ ადამიანს სიამოვნებას მოჰგვრიდა და ბავშვებს მის დანახვაზე სასაფლაო არ გაახსენდებოდათ, პირიქით მათ ზღაპრულ სამყაროში გადაიყვანდა.

იქნებ ახლა მაინც დადგეს დრო, როცა რაიონის ხელმძღვანელობა რეალურად იზრუნებს ქალაქის ინფრასტრუქტურაზე და საგარეჯოელების ინტერესებს გაითვალისწინებს?!

ნუთუ არაა დრო ვიფიქროთ საზოგადოებრივ ინტერესებზე და რაც მთავარია, ეს ისწავლონ იმ ადამიანებმა, ვინც რამდენიმე წელია მხოლოდ ანგრევენ – ანგრევენ შენობებს, ქუჩებს, დავით აღმაშენებლის ქუჩას უკვე მესამედ (ბოლო ცხრა წელში) უკეთებენ რესტავრაციას. ხოლო აქედან სულ რაღაც ოციოდე მეტრში ტროტუარები ისეთ დღეშია, კისერს მოიმტვრევს ადამიანი. იქნებ გვეკითხა მათთვის, რისთვის ან რატომ დაინგრა ყოფილი პროკურატურის ან სანიტარული ინსპექციის შენობები, ხოლო ეს ადგილები გაჭირვებული ადამიანების ფიზიოლოგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებელ წერტილებად იქცა (ქალაქში ხომ საზოგადოებრივი ტუალეტი არ არსებობს).

არადა, ამ ადგილზე ხომ ეკლესიის მშენებლობას გეგმავდნენ?

დროა, გამოვფხიზლდეთ მარადიული დუმილიდან – ჩვენს ქალაქს ხომ 50 წელი უსრულდება.

მანანა სტეფანიშვილი

საგარეჯო

ფიქრები 2013 წლის კარიბჭესთან

ტკივილი, რომელიც ძველმა წელმა უნდა წაიღოს

თანდათან დაკარგა სამყარომ სითბო – სითბო ადამიანური ურთიერთობების, გრძნობა – გრძნობა სიყვარულის, გატანის, თანადგომის, ერთგულების...

ხელის გულზე დატეული სხეულიცა და სამყაროც.

უწონობის საშინელი შეგრძნება...

ტყვიასავით დამძიმებული სული, გაწოლილი დარდების ღრუბელზე და მიჰქრის იქ, სადაც სიმშვიდეა.

კეთილი და ბოროტი უწესრიგოდ მოძრაობენ. ამ ქაოსურ მოძრაობაში წარმოუდგენელი სიძლიერით ეჯახებიან და იმსხვრევიან.

სხეულთან ერთად სულიც იმსხვრევა.

ვიღაცა ამ დროს შენს სულში ხელებს აფათურებს.

განა ჩემი სული სურს? არა, უნდა ჩაგკლას, გაგანადგუროს, დაგანარცხოს და გაგთელოს, რადგან ნიჭიერება, წარმატება, რაც სხვისგან განგასხვავებს, დასჯადია.

იწყება ჭიდილი... უსამართლობის საშინელი განცდა...

ამაყი სული არ ნებდება, უნდა გაექცეს რეალობას.

სასაცილოა ამხელა სამყაროში საყრდენს ვერ პოულობ სულის მოსათქმელად.

– არა, მაგრამ რა უნდა შენს ხელს ჩემს სულში?!

რამდენი უძილო ღამე...

ყოველთვის განსხვავებული, ერთმანეთის არამსგავსი თითოეული დღე, გაკვეთილი.

20 წელი... არც ისე ცოტა დროა...

დღეში სულ მცირე ორი გაკვეთილი, კვირაში – ათი, თვეში – ორმოცი, ცხრა თვეში (ერთი სასწავლო წელი) – სამას სამოცი, 20 წელში 64800 გაკვეთილი...

ახალი სამყარო, ახალი რეალობა, სულის ტკივილში შეხიდული ადამიანები... ძველი წოდება და დიდი ჯილდო.

მარტო დავრჩი დიდ ქარიშხალთან...

სულ გამძარცვეთ, წაიღეთ ის, რასაც თვლიდით, რომ ჩემი არ იყო, მე არ მეკუთვნოდა... დამრჩა წოდება – მასწავლებელი – მოძღვარი ბავშვთა სულისა და ყველაზე დიდი ჯილდო – ჩემი ნამოწაფრები.

მთელი ცხოვრება ტკივილია.

ტკივილი იქამდე, სანამ სამზეოს მიჯნას გადალახავ, გადალახავ და დარჩება უკუნი საზღვარი.

თალხისფერ სამყარომდე მე დავბრუნდები.

დავბრუნდები...

დაუჯერებელი არაფერია...

არ მიშვებენ ის ძალები სხვაგან, რომლითაც ვგრძნობ თქვენს სუნთქვას, თქვენს სიხარულს, დარდსა და ტკივილს მანძილზე.

უფალი... მსაჯული ყველასი და ყველაფრის.

განსაცდელისაგან გარიდება...

სკოლა, განათლების სფეროში მოღვაწეობა ეს ჩემი ჯვარია, უფლისგან ნაბოძები... რომლის წართმევის უფლებას არავის არ მივცემ და ამას აღარც უფალი დაუშვებს თავად.

თამარ ურდულაშვილი,

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისიების მოწვეული სპეციალისტი

მილოცვა

დაბადებიდან 85-ე წლისთავის შესრულებას და დამდეგ ახალ წელს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის გულშემატკივარს, აქტიურ მკითხველსა და მრავალი საინტერესო სამეცნიერო წერილების ავტორს, კულტურის დამსახურებულ მოღვაწეს, ისტორიკოსსა და ჟურნალისტს ბ-ნ ალექსანდრე ელერდაშვილს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდხანს სიცოცხლეს და კვლავაც ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას.

„გარეჯის მაცნის“ რედაქცია

თავისუფალი ჭიდაობა

ასპარეზობენ გოგონებიც

ნუნუკა ლონდარიძე

ხატია კევლიშვილი

დეკემბრის ბოლოს საგარეჯოს ძიუდოს დარბაზში ჩატარდა ჩვენი თანამემამულისა და სპორტსაზოგადოება „კოლმეურნეს“ ჩემპიონის, საქართველოს პრიზიორის, სპორტის ოსტატ მიხეილ არჩუაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკური ტურნირი თავისუფალ ჭიდაობაში გოგონათა და ვაჟთა შორის. თავისუფალი ჭიდაობის საგარეჯოელი მოყვარულები და გულშემატკივრები მიჩვეულები და განებივრებული ვართ ჭიდაობის ამ სახეობაში გამართული შეჯიბრებებითა და ჩვენი ფალავნების მიერ მიღწეული მაღალი შედეგებით, მაგრამ აქ, დიდი არსენ მეკოკიშვილის სახელობის სპორტულ დარბაზში გოგონათა შორის რომ გამართულიყოს ასპარეზობა, არავის ახსოვს და ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა. მართალია, წინა წლებში საგარეჯოს ჰყავდა ძიუდოისტი გოგონები, მაგრამ თავისუფალ ჭიდაობაში ნამდვილად არავინ. ამიტომ მისასალმებელი და მეტად დასაფასებელია ამ პრეცედენტის ავტორების, პირველ რიგში კი ჩვენი „ძიუდოს პაპის“ – ბიჭიკო მარიდაშვილის ენთუზიაზმი, რომელმაც ჩვენი ღირსეული თანამოქალაქის ხსოვნის ღონისძიება საინტერესო პაექრობითაც დაამშვენა. არადა ბ-ნი მიხეილი მართლაც იმსახურებდა ასეთი ტურნირის გამართვას, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თვითონაც თავისუფალი სტილის მოჭიდავემ, იმხელა ამაგი დასდო საგარეჯოში ჭიდაობის ამ სახეობის განვითარებას, რომ სპორტსმენი რომც არ ყოფილიყო, სიცოცხლეშივე იმსახურებდა ამას. მხედველობაში მაქვს ის დიდი საჩუქარი, რაც მან საგარეჯოელ მოჭიდავეებს გაუკეთა საგარეჯოს საკუთრების დაცვის პოლიციის უფროსად მუშაობის წლებში, როცა იქ შესანიშნავი სპორტული ბაზა ააშენა.

ვაჟთა ასპარეზობის შემდეგ ხალიჩაზე გოგონათა საგარეჯოელი და გლდანის სპორტსკოლის ორი წყვილი დაუპირისპირდა ერთმანეთს, სადაც უფრო გამოცდილმა გლდანელებმა იმარჯვეს. მიუხედავად ამისა, ჩვენი გოგონები მაინც იმსახურებენ შექებას და წახალისებას, რადგან საგარეჯოში პირველებმა ოფიციალური საფუძველი ჩაუყარეს ამ სახის პაექრობებს და იმედია ამის შემდეგაც ვიხილავთ მსგავს ასპარეზობებს.

მეტად საინტერესო გამოდგა გამარჯვებულთა დაჯილდოვების ცერემონიალიც. სხვა ჯილდოებთან ერთად გათამაშდა მიხეილ არჩუაძისა და არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზებიც, რაც მათმა შთამომავლებმა – მაია არჩუაძემ და გიორგი მეკოკიშვილმა დააწესეს. სასიხარულოა, რომ დიდი არსენას სახელობის პრესტიჟული პრიზი ჩვენს მოჭიდავე ლევან ბოჭორიძეს ერგო, რომელიც მას ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებელმა გიორგი ლოლაძემ გადასცა.

გივი დაგახიშვილი

შეხვედრა პოეტთან

აუდიტორია, რომელიც ბარბარობა დღეს პოეტს, მედიკავშირ „ობიექტივის“ სახელოვნებო გადაცემების წამყვანს, ჭეშმარიტ პოეზიასთან ნაზიარებ, ძარღვიან, ღრმა ფესვების მქონე ქართულ სიტყვასთან შერკინებულ, სიმართლის უშიშრად მთქმელ, ერთ ქართველ კაცს – ვაჟა ოთარაშვილს მართლაც რომ დიდი მოლოდინით ელოდა. მათგან უმრავლესობას მართლისმთქმელი პოეტი კაცი მხოლოდ ტელეეკრანიდან ენახა, მის ნაფიქრალ– ნააზრევს, ნასათუთევს, ფიქრის ქურაში გამოწრთობილს კი – წიგნებიდან. დიდის ნატვრით, დიდის მოლოდინით განაბულიყო დარბაზი – თავად ამ ლექსების მომფიქრებელს უნდა წაეკითხა ლექსები, რომლებიც ამ დუხჭირ ცხოვრებაში ალალ ცრემლს გვადენს, გულიან ოხვრას და ხშირად გულზე მჯიღის დარტყმასაც განგაცდევინებს, ჩაგაფიქრებს – საიდან მოვდივართ ქართველები, ვინ ვართ დღეს, საით მივდივართ, მაინც საით მიგვყავს საქართველო და ქართველობა?! როგორი სიყვარული იცის ქართველმა კაცმა დედის, პატივისცემა წინაპართა სისხლით ნაწერი ისტორიისა, როგორი კრიტიკული თვალით უყურებს თავის დღევანდელ ყოფას, როგორი სილამაზით აღიქვამს მზეს, ვარსკვლავს, საფლავიდან დედის სუნთქვად ამობურცულ იას, როგორ დაინახავს, რა ცრემლებს გააყოლებს მდინარისგან წაღებულ „შარშანდელ ფოთლის ხალიჩას“, უნახავს კი „ფოთლის სიკვდილზე ნაზი სიკვდილი“ თუ შეუმჩნევია და შეუგვრძნია „მაყვლისფერი დამეები“. ოდონდ ეს ყველაფერი და სხვა ყველაფერიც საქართველოშია ლამაზი, მხოლოდ საქართველოში, რადგან აქ, საქართველოში „სადღეგრძელოებს დარდები მიაქვს“... რადგან საქართველოში „ჭაღარა თურმე ერევა ქარსაც“... და ის საქართველოა „ქვეყანა, სადაც ერთად მარხია, ერის ერთგულიც და მოღალატეც“....

პოეტის ლექსებს სულგანაბული უსმენდა ჩვეულებრივი მსმენელიც და ლექსის პუკარედს გაკიდული პოეტიც, მსახიობიც და საქართველოს მწერალთა კავშირის წევრები – ჩვენი თანამემამულენი რომან ზუკაკიშვილი და გიგლა ჭინჭარაული, ქართული ლექსის მოტრფიალე – ლექსო არაბული. საგარეჯოელმა პოეტმა და ფილოლოგმა თამარ ურდულაშვილმა და პოემების ავტორმა ვანიკო ჯაფარიძემ საკუთარი ლექსები წაუკითხეს პოეტს, მაგრამ სულ სხვა ღვთიური მადლი, ძველქართული სული და ახლებური, მაცოცხლებელი სუნთქვა ჰქონდა ავტორისეულ კითხვას ლექსებისას – ვისთვის შემოლაწუნების, ვისთვის მტრის ჯავრის ოხვრით „ამოყრის“, ვისთვის გამოწვევის.

ერთი კია, იმ დღეს, ბარბარობა დღეს ვაჟა ოთარაშვილის ლექსების თითოეული სიტყვა საქართველოს გადარჩენის, გალაღების, ქართველების გამრავლების სანთლებად ენთო საგარეჯოს ცენტრალური ბიბლიოთეკის დარბაზში და ამაზე კარგი რა შეიძლებოდა გაეკეთებინა ამ დღეს ბიბლიოთეკის მკითხველებთან მუშაობის სპეციალისტს თინა კობაურს (რომლის ინიციატივითაც გაიმართა ეს საღამო), საღამოს წამყვანს ლეილა არჩემაშვილს, ყველას, ყველას, ვინც ამ საღამოს მოწყობაში მიიღო მონაწილეობა.

თავს უფლებას მივცემ და ვიტყვი, რომ ამ საღამოზე ვაჟა ოთარაშვილი ბევრმა ქართული სიტყვის მეჩუქურთმედ, უშიშარ პოეტად გაიცნო, მე თავად კი კიდევ ერთ ქართველ, გულით და სულით ქართველს შემახვედრა, რომელზედაც მოწამეთელი მამა გიორგი (ბასილაძე) გვესაუბრება წიგნებში – მიწაზე ჩამოსულ ღვთისკაცებზე, – ჩვენთვის „თვალის ასახვევად“, თავიანთი ვითომდა ჩვეულებრივი ცხოვრებით რომ ცხოვრობენ და დიდი მისია კი აკისრიათ ერის, ქართველობის გამოსაფხიზლებლად, მართლმადიდებლობის, ქართული ტრადიციების მქადაგებლად სიტყვითაც და საქმითაც, უპირველესად კი საკუთარი ცხოვრების წესით.

ეცნობი ვაჟა ოთარაშვილის ლექსებს და გრძნობ წმიდა მამის დამოძღვრის სიმძიმესა და სიტკბოს „ქართველობა ძნელია, მაგრამ აუცილებელი“. აფერუმ, მის ვაჟკაცობას, ვინც ამ გამოცდას უძლებს და გაუძლებს, თქვენის თამადობით, ბატონო ვაჟა!

თინა ილაური

ჩვენი თანამემამულე დავით ლაფაჩიშვილი კვლავ წარმატებებს ითვლის

თურქეთში, ქ. ტრაპიზონში გამართულ მსოფლიო თასის გათამაშებაში 11 ქვეყნის რჩეულ 800 სპორტსმენს შორის იყო საქართველოს გოჯუ-რიუ კარატე დო ასოციაციის ნაკრების 4 სპორტსმენი. მათ ანგარიშზეა 2 ოქროს, 4 ვერცხლის, ერთი ბრინჯაოს მედალი და თასი.

ჩვენმა თანამემამულემ დავით ლაფაჩიშვილმა (10 წლის) სამივე სინჯის მედალი

დაიმსახურა.

I ადგილი – SHOBU;
II ადგილი – KATA;
III ადგილი – W.K.F.

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქტორი:
თინათინ ილაური

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო,
დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“
დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842
577 951 488
ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com